საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4365
07/06/2023

4365-21-2-202306071644

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ მამუკა წოწერიას

ბატონო მამუკა,

თქვენი 2023 წლის 1 მაისის №24-2423121177 წერილის პასუხად (№3749; 01.05.2023), რომელიც ეხება ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №43.31.62.746) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციისა და სკრინინგის განცხადების წარმოდგენას, გაცნობებთ შემდეგს:

- როგორც თქვენთვის ცნობილია, 2020 წლის 11 დეკემბერს გაიცა „ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმასა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშზე რეკომენდაციის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის №2-1161 ბრძანება. თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმით დადგენილი ფუნქციური ზონირების მიხედვით, გეგმარებითი ტერიტორია მოქცეულია სარეზერვო ინდუსტრიულ ზონაში 1 (იზ-1)-ში, ხოლო განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის მიხედვით, იგივე ტერიტორიისთვის განისაზღვრა მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 4 (სზ-4). ამასთან, გაცნობებთ, რომ გაცემულია „შპს „კოლხეთის ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 1 ოქტომბრის №2-1409 ბრძანება. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ცემენტის საწარმოს მოწყობას (ს/კ: №43.31.62.746) განაშენიანების დეტალური გეგმის საპროექტო არეალიდან (ს/კ: №43.31.62.660) 2 მეტრის დაშორებით. ვინაიდან, ქალაქ ზუგდიდის გენერალური გეგმით აღნიშნული ტერიტორია გათვალისწინებულია სარეზერვო ინდუსტრიულ ზონაში, ხოლო განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის მიხედვით, იმავე ტერიტორიაზე იგეგმება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა, საჭიროა

წარმოდგენილი იქნეს სრულყოფილი ინფორმაცია ცემენტის საწარმოს საცხოვრებელ ზონაზე შესაძლო ზემოქმედებასთან დაკავშირებით;

- წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო არეალზე „დაგეგმილია 12 (თორმეტი) ტიპიური შვიდსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსება“. ამავე დოკუმენტის 5.2.4. ქვეთავში აღნიშნულია, რომ „ტექნიკური დავალების თანახმად, აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს ცამეტი შვიდსართულიანი შენობა, სარდაფის სართულის გარეშე“ (გვ. 33). შესაბამისად, საჭიროა დაზუსტდეს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი შენობების რაოდენობა;
- სკრინინგის განცხადებასთან ერთად, დანართის სახით წარმოდგენილია „საექსპერტო ობიექტის ზოგადი მდგომარეობის აღწერა-შეფასების/კვლევის მეთოდის“ დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ ტერიტორიაზე არსებული 37 ხე–მცენარიდან გადარგვა-გახარებას ექვემდებარება 18 ხე–მცენარე, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტით არ ირკვევა იგეგმება თუ არა ხე-მცენარეების მოჭრა. შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში საჭიროა დაზუსტდეს აღნიშნული საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია ინფორმაცია კოლხეთის დაბლობსა და ქალაქ ზუგდიდის ტერიტორიაზე გავრცელებული წითელი ნუსხის სახეობებთან დაკავშირებით (მაგალითად, კავკასიური ციყვი (Sciurus anomalus), სამხრეთული ცხვირნალა (Rhinolophus euryale), გრძელყურა მღამიობი (Myotis bechsteinii) და სხვა.). შესაბამისად, საჭიროა წარმოდგენილი იქნას საპროექტო არეალში არსებული წითელი ნუსხის სახეობების შესახებ ინფორმაცია და შემუშავდეს შემარბილებელი ღონისძიებები, რაც ასევე აისახება გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ ქვეთავში (გვ. 58);
- საპროექტო არეალზე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტაციაში ციფრობრივად აისახოს მონაცემები ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სიმძლავრისა (სისქის) და იმ ფართობების (მონაკვეთების) შესახებ, რომელზეც განხორციელდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა. ასევე, საჭიროა სკრინინგის განცხადებაში აისახოს, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნისა და მისი შემდგომი გამოყენების საკითხები „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

გაცნობებთ, რომ სააგენტო უზრუნველყოფს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას აღნიშნული შენიშვნების საფუძველზე განახლებული სკრინინგის განცხადებისა და სტრატეგიული დოკუმენტის კანონმდებლობის შესაბამისად წარმოდგენის შემდგომ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო